პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
ხუთშაბათი
29 ნოემბერი
№ 273 (17618)
ფასი 2 კაპ.

გუშინ მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში პუბლიკა დაიწყო სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ.

დეპუტატები განიხილავენ მოხსენებებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ 1979 წელს, აგრეთვე სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მოსკოვი. 28 ნოემბერი. ხურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია დილის 10 საათზე დაიწყო კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომით.

დეპუტატები და სტუმრები მჟუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. ა. კირილენკოს, დ. ს. კუნაევს, ა. ი. პელშეს, ბ. პ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, ა. უ. ჩერნენკოს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ბ. ა. ალიევს, მ. ს. გორბაჩოვს, ა. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, პ. მ. მაშეროვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. კაბიტოვს, ვ. ი. დოლგიხს, კ. ვ. რუსაკოვს.

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

სესიის განსახილველად წარმოდგენილია საკითხები:

1. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა 1979 წელს.
2. სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
3. სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.
4. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, სსრ კავშირის პროკურატურის, სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის, სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ, სსრ კავშირის კანონების პროექტები.
5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მრჩეველებულებთა დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. პ. რუბენმა წინადადება წამოაყენა შეუერთდეს დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას.

მოხსენება — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა“ — გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ბაიბაკოვმა.

შემდეგ მოხსენება — „სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“ — გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ვ. მ. გარბუზოვმა.

ამით პალატების პირველი გაერთიანებული სხდომა დაიხურა.

ეროვნებათა საბჭოში

ეროვნებათა საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელიც ნაშუადღევს გაიმართა, დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ა. ი. კელშეს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ბ. მაშეროვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, ე. ა. შევარდნაძეს, კ. ვ. რუსაკოვს.

სხდომის თავმჯდომარემ ვ. პ. რუბენმა სიტყვა მისცა ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ნ. ი. მასლენნიკოვს, რომელმაც გააკეთა საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების თანამოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის, 1979 წელს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თაობაზე და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საბჭოთა ადამიანები, თქვა მან, უდიდესი ყურადღებით და სრული მოწონებით შეხვდნენ სესიის წინა დღით გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. ამ პლენუმზე საპროგრამო გამოსვლაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მისთვის ჩვეული სახელმწიფოებრივი სიბრძნით და პოლიტიკური გამჭრახობით, მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან ღრმად და დამაჯერებლად გააანალიზა პარტიისა და მთავრობის აღმშენებლობითი მუშაობის მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის შედეგები, ზუსტად და მკაფიოდ განსაზღვრა საკვანძო ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს უდიდეს ყურადღებასა და მთელი ძალების კონცენტრაციას, დასახა მათი რეალიზაციის პრაქტიკული გზები.

კომისიები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო გეგმა შემუშავებულია პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებისა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა საფუძველზე, რომლებიც ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირეულ საკითხებს ეხება.

ეროვნებათა საბჭოს მუდმივმა კომისიებმა კავშირის საბჭოს კომისიებთან ერთად გამონახეს შესაძლებლობა, რომ 1980 წელს უზრუნველყოფილ იქნეს 192,2 მილიონი მანეთი საერთო თანხის ცალკეულ სახეობათა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და რეალიზაცია, და შემოაქვთ წინადადება გაითვალისწინონ ეს სახელმწიფო გეგმის დამტკიცებისას.

კომისიები წინადადებას იძლევიან, რომ 1980 წლის გეგმის შესწორების გათვალისწინებით გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსავალი 140,4 მილიონი მანეთით.

განიხილეს რა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შუამდგომლობანი, კომისიებს შესაძლებლად მიაჩნიათ დამატებით გამოვლენილი შემოსავლის შედეგად გაიზარდოს დამატებითი ღონისძიებების ხარჯები.

კომისიები წინადადებას იძლევიან გაითვალისწინონ აღნიშნული შესწორებანი და დამტკიცონ სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 284.768,4 მილიონი მანეთის ოდენობით, გასავლის ნაწილში — 284.511,9 მილიონი მანეთის ოდენობით, ამასთან შემოსავალი გასავალს 256,5 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

კომისიები ყურადღებას მიაპყრობენ მრეწველობის სათბობის დარგების, მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებს. კომისიებმა კვლავ დასახეს რეკომენდაცია მიღებულ იქნეს ზომები მშენებლობის ნორმატიული ვადების მტკიცედ დაცვისათვის, მრავალრიცხოვან ობიექტებზე სახსრებისა და რესურსების დაქსაქსვის აღკვეთისათვის.

კომისიის თავმჯდომარემ გამოთქვა მთელი რიგი რეკომენდაციები სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების შემდგომი გაფართოებისა და ხარისხის ამაღლებისათვის, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ეს ამოცანები დასახულია სკკპ XXV ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით.

კომათში პირველი გამოვიდა უკრაინის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ა. სოლოგუბი. მან განაცხადა, რომ უკრაინელი მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამრავლონ წვლილი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ზრდის საქმეში.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის განსახილველი პროექტები საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავენ, და წინადადება შემოიტანა დამტკიცდეს ისინი, ამასთან გაითვალისწინონ უმაღლესი საბჭოს კომისიების შენიშვნები და შესწორებები.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ე. ფ. კარპოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის მშრომელებს დირსეული წვლილი შეაქვთ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. მეათე ხუთწლედის წლებში რესპუბლიკის ეკონომიკა ახალ საფეხურზე ავიდა.

გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს.

ისევე როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გუშინდელი პლენუმი, ჩვენი სესიაც მკაფიოდ გამოხატავს ლენინური ტრადიციების ერთგულებას, დამაჯერებლად მოწმობს ხალხის რჩეულთა უდიდეს ზრუნვასა და პასუხისმგებლობას ხალხის ბედისათვის, ჩვენი მომავლისათვის, აღნიშნა ბელორუსიის კომპარტიის ბრესტის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ე. ე. სოკოლოვმა.

შემდეგ, შეეხო რა ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარებას, დეპუტატმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მელიორაციის მნიშვნელობას. უპირატესად ხაზგასმულ მელიორაციის სიკეთეა, რომ აქ მარცვლოვანთა მოსავალი ჰექტარზე 12-დან 26 ცენტნერამდე გადიდდა.

სამარყანდის ოლქის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. ი. იუსუპოვმა ილაპარაკა მეურნეობის მშრომელთა წარმატებებზე.

დეპუტატმა თქვა, რომ გაიზარდა ბამბის წარმოების მოცულობა და აღნიშნა, რომ ამთავითვე საჭიროა განვავითაროთ მისი შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოები, რადგან ყოველივე ამასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრმა დეპუტატმა ე. ა. კოზლოვსკიმ ხაზი გაუსვა, რომ გეოლოგია გახდა მაღალმექანიზებული, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი დარგი. მეათე ხუთწლედში მინერალური ნედლეულის დიდი ბაზები შეიქმნა ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში, კერძოდ, ციმბირში, ყაზახეთში, შორეულ აღმოსავლეთში.

ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ გეოლოგებზე დიდად არის დამოკიდებული ნედლეულის დაზვერილი მარაგის შემდგომი მატება და, მაშასადამე, ენერგეტიკის, მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის განვითარების ტემპიც. მინისტრმა დააყენა აგრეთვე საკითხი, რომ გაუმჯობესდეს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისათვის განკუთვნილი ტექნიკის ხაკითხი, გაიზარდოს მისი წარმოება, და დასძინა, რომ გეოლოგებს ცხოვრებისა და მუშაობის უკეთესი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები უნდა ჰქონდეთ.

ყაზახეთის კომპარტიის პავლოდარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ბ. ვ. ილსევმა გააზუქა ოლქის საწარმოო ძალების განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე სამართლიანად გააკრიტიკეს პავლოდარის სატრაქტორო ქარხანა „ჯ-701“ მარკის მძლავრი ტრაქტორების გამოშვების დაყოვნებისათვის. ამაში ბრალი მიუძღვით როგორც საწარმოს მუშაკებს, ისე სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, რომელიც აჭიანურებს საამქროების მშენებლობას. ორატორმა სესიის მონაწილეებს აღუთქვა, რომ ოლქის კომუნისტები, მშრომელები ყოველ დღეს იხმარენ, რათა დაძლიონ შექმნილი სიძნელენი. (საკდეს).

გულითადი მილოცვა

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარეს ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მთელი საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით თქვენ, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმს, იუგოსლავიის ხალხებს გულითადად გილოცავთ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს — რესპუბლიკის დღეს და გისურვებთ წარმატებებს ქვეყნის განვითარებაში, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უმაღლესი დონის შეხვედრების შედეგების მიხედვით მიღებულ ერთობლივ ორმხრივ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული პრინციპებისა და მორიგებების საფუძველზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცების ხაზის თანამიმდევრული განხორციელება კვლავინდებურად შეეესაბამება ჩვენი მომავ ხალხების, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ძირეულ ინტერესებს.

ლ. ბრეჟნევი.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარეს ამხანაგ ვესელინ ჯურანოვიჩს

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულთან — რესპუბლიკის დღესთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პირადად ჩემი სახელით გილოცავთ თქვენ, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრებს და ახალ წარმატებებს ვუსურვებ იუგოსლავიის ხალხებს სოციალიზმის მშენებლობაში. დაე, კვლავაც მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრული ურთიერთობა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ხალხთა, მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვების ინტერესებისათვის.

ა. კოსიგინი.

ხორცის დაკვლადება

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, რესპუბლიკაში ნოემბრის მეორე ნახევრისათვის დამზადებულია 114,7 ათასი ტონა ხორცი, რაც გეგმადავალების 82 პროცენტს შეადგენს და 3,9 ათასი ტონით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

მთელი წლის მანძილზე ხორცის დამზადება ხდებოდა მზარდი ტემპით, ხოლო უკანასკნელ ორ კვირაში ეს ტემპი შენელდა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის საშუალო ჩასაბარებელი წონის გადიდებას, ზოგიერთ მათგანში კი ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუარესდა. საშუალო ჩასაბარებელ წონაზე ნაკლებ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს აბარებენ სახელმწიფოს შემდეგი რაიონების მეურნეობები: ადიგენისა — 17 კილოგრამით ნაკლებს, ზუნდაიდისა — 21 კილოგრამით, წალენჯიხისა — 22 კილოგრამით, გურჯაანისა — 50 კილოგრამით ნაკლებს. ღორის საშუალო ჩასაბარებელი წონა შეამცირეს წითელწყაროს რაიონის მეურნეობებმა — 5 კილოგრამით, წალკისა — 10 კილოგრამით, ქალაქ ტყიბულის ზონისა — 9 კილოგრამით, ქალაქ ჭიათურის ზონისა — 14 კილოგრამით.

ფლის ფინიშამდე დარჩა 33 დღე

ოპერატიული ცნობა

სახელმწიფოსათვის მეცირეწონიანი პირუტყვის ჩაბარების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მეურნეობებში პირუტყვს ინტენსიურად არ ასუქებენ. ეს მეცირე საშუალო სადღეღამისო წონა-მატებას იწვევს. მაგალითად, მიმდინარე წლის 10 თვეში მსხვილფეხა რქიანი. პირუტყვის წონამატება ნორმით გათვალისწინებული 400-600 გრამის ნაცვლად შეადგენდა ქარელის რაიონში 178 გრამს, დუშეთის რაიონში — 123 გრამს, ცხინვალის რაიონში — 124 გრამს, ქალაქ წყალტუბოს ზონაში — 152 გრამს. ღორის საშუალო სადღეღამისო წონა-მატება ნაკლებია მაიაკოვსკის, გალის, მარნეულის, მცხეთის რაიონების მეურნეობებში. (საქინფორმი).

საქართველოს მეურნეობანი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ზუსტი ორიენტირი

სსრ კავშირის 1980 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების განხილვისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დებულებები და დასკვნები ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას გვისახავენ.

მისი რეალიზაცია ყველა საბჭოთა ადამიანის, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელის საპატიო მოვალეობაა. და, როგორც ყოველთვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახული აქტუალური ამოცანების გადაჭრაში თავიანთ სიტყვას იტყვიან მეცნიერებიც.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე ლაპარაკის დროს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დასახა უფნარეს ყოვლისა ხელის მიმე შრომის მექანიზაციის დაჩქარების ამოცანა. პარტიის ეს მოთხოვნა მუდამ იყო მეცნიერთა და სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში. უნდა მივაღწიოთ მეცნიერული შრომების ეფექტიანობის ამაღლებას, განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან.

ს. დურმიშიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

დამკვრელურად ვიშრომოთ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ ახალი შრომითი გამარჯვებისათვის დაგვრაზმა.

ამ გამოსვლაში საფუძვლიანად არის გაანალიზებული ის მიღწევები, რომლებმაც საბჭოთა ხალხი დაფიქაცია სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების გზაზე.

ეს კი გვავალებს კვლავ დამკვრელურად, ლენინურად ვიშრომოთ და ხელი შევუწყოთ იმ უმნიშვნელოვანესი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაგვისახა.

ძ. ბურდიაშვილი,
გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კოლმეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა 1979 წელს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თქვენს განსახილველად შეაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ ძირითადად მოწონებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის — მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი, ხუთწლედისა, რომელიც ფიდმნიშვნელოვან ეტაპს მოასწავებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

მომავალი წლის გეგმის პროექტი შემუშავებულია სამინისტროების, უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით და ითვალისწინებს სკკპ XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ საბჭოთა საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებს და დასკვნებს, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებზე.

გუშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში ღრმად გააანალიზა საბჭოთა ეკონომიკის განვითარება ხუთწლედის განვლილი წლების მანძილზე და აქტუალური პრობლემები, რომლებიც უნდა გადაწყვეტოთ 1980 წელს და მომდევნო წლებში. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებანი ჩვენს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო კადრებს, ყველა მშრომელს აიარაღებს ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების სწორი გაგებით და სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ჩვენი საქმიანობის მკაფიო ორიენტაციას იძლევა.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა 1979 წელს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ, მასებში პარტიის ფიდმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის აღმშენებლობამ პატრიოტულმა შრომამ შეაძლებლობა მოგვცა 1979 წელს ეკონომიკურად საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბი და აგვემაღლებინა მისი ტექნიკური დონე, ეგალეწრა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. განმტკიცდა სსრ კავშირის პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე. გაიზარდა მისი წამყვანი როლი მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების განმაზოგადებელი მაჩვენებელი, როგორც ცნობილია, ეროვნული შემოსავლის მატებაა. 1979 წელს მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, წინასწარი შეფასებით, 1978 წელთან შედარებით 8 მილიარდი მანეთით და მეტად გაიზრდება, ხოლო ხუთწლედის ოთხ წელიწადში იგი 58 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს, ანუ 16,2 პროცენტით გადადდება. ეროვნული შემოსავლის ოთხი მეხუთედი უშალოდ ხალხის კეთილდღეობას ხმარდება.

მრეწველობაში, რომლის განვითარება მთავარ როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობაში, წარმოების მოცულობა 1979 წელს 21 მილიარდი მანეთით გაიზრდება. მთლიანად ხუთწლედის ოთხ წელიწადში მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გადიდდება 103 მილიარდი მანეთით, ანუ 20,3 პროცენტით.

ამჟამად 73 ათასი სახეობის პროდუქციას მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

უპირატესი ტემპით ვითარდება მრეწველობის დარგები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს განსაზღვრავენ, უწინარეს ყოვლისა მანქანათმშენებლობა.

პარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად განუხრელად ხორციელდება სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის გრძელვადიანი პროგრამა.

როგორც მოგეხსენებათ, წლევანდელი წელი ზოგან არახელსაყრელი აღმოჩნდა ამინდის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაძაბული შრომის, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ორგანიზატორული საქმიანობის შედეგად მიმდინარე წელს 179 მილიონი ტონა მარცვლეულია აღებული.

დიდი გამარჯვება მოიპოვეს ყაზახეთის სსრ მშრომელებმა, რომლებმაც მარცვლეულის რეკორდული მოსავალი მოიწიეს — 34 მილიონ ტონაზე მეტი.

კარგ შედეგებს მიაღწიეს ალტაისა და კრასნოდარის მხარეების, ორენბურგის, ომსკის, ამურის, ლვოვისა და მთელი რიგი სხვა ოლქების მხვნელ-მთესველებმა.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ბოსტნეულისა და ხილის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის დავალებები გადაჭარბებით შესრულეს აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

შუა აზიის რესპუბლიკებისა და აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადალახეს სერიოზული სიძნელეები და ბამბის უხვი მოსავალი მოიწიეს.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა ყველგან მთლიანად შევინარჩუნოთ მოწეული მოსავალი, დროულად და ხარისხოვნად გადავამუშაოთ პროდუქცია. ამავე დროს ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმ სამუშაოთა მთელი კომპლექსის შესრულებისათვის, რომლებიც მომავალი წლის მოსავლის, პირუტყვის საიმედო გამოზამთრებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საჭირო პირობებს უზრუნველყოფენ.

მოხსენება შემოკლებით ქვეყნდება.

1979 წელს კაპიტალური მშენებლობის ვრცელი პროგრამა შესრულდა. სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების, საერთო მოცულობა 132 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს, ხუთწლედის ოთხ წელიწადში კი 500 მილიარდ მანეთს, ანუ 10,4 მილიარდი მანეთით მეტი იქნება, ვიდრე ამ წლებისათვის ხუთწლიანი გეგმის დავალებები იყო დასახული.

ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების საძირკველი — ძირითადი საწარმოო ფონდები 1976-1979 წლებში 273 მილიარდი მანეთით გაიზრდება და მომავალი წლის დამდეგისათვის ტრილიონ მანეთს გადააჭარბებს. ახლის მშენებლობის, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი სიმძლავრეები ამუშავდა. მწყობრში ჩადგა 1000-მდე დიდი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო.

მიმდინარე წელს ახალი წარმატებებია მიღწეული უმნიშვნელოვანესი სოციალური საკითხების გადაწყვეტის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში. ეს გამოხატულებას პოულობს, უწინარეს ყოვლისა, ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის ზრდაში. 1979 წელს რეალური შემოსავალი 2,5 პროცენტით გაიზარდა. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1976-1979 წლებში 12,4 პროცენტით გაიზრდება, კოლმეურნეების შრომის ანაზღაურება — 21,7 პროცენტით, რაც შეესაბამება ხუთწლიანი გეგმის აღნიშნული პერიოდის დავალებებს. მომდინარე წელს დამთავრდება არასაწარმოო სფეროს მუშაკებისათვის ახალი განაკვეთებისა და სარგოების შემოღება. ეს ნიშნავს, რომ ხუთწლეულის მანძილზე ხელფასი 31 მილიონ კაცს მოემატება.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები 1979 წელს 110 მილიარდ მანეთს მიაღწევს.

დიდი მასშტაბით გრძელდებოდა საბინაო მშენებლობა. მარტო 1979 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 102,5 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, მეათე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე კი 423 მილიონი კვადრატული მეტრი, ამასთან ამაღლდება საბინაო ფონდის ხარისხი.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა მიმდინარე წელს 4,1 პროცენტით გაიზრდება და მეოთხედ ტრილიონ მანეთს გადააჭარბებს. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო სამსახურის საერთო მოცულობა 7,4 მილიარდ მანეთს მიაღწევს. განუწყვეტლივ უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მაჩვენებლებმა ხუთწლიანი გეგმით დასახულ დონეს გადააჭარბეს.

მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელთან შედარებით აბსოლუტურად გადიდდა წარმოების მოცულობა, ვერ შესრულდება 1979 წლის გეგმით დადგენილი ისეთი დიდმნიშვნელოვან სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების დავალებანი, როგორიც არის შავი ლითონების ნაგლინი, ქვანახშირი, ნავთობი, მინერალური სასუქები, სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, ცალკეულ სახეობათა ფერადი ლითონები, ქაღალდი. ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამის სამინისტროებს.

მთლიანად არ შესრულებულა სახალხო მოხმარების ზოგიერთი საქონლის წარმოების წლიური დავალებანი, რამაც გარკვეული სიძნელენი შექმნა მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფაში. მსუბუქი, კვების მრეწველობის სამინისტროები, აგრეთვე სხვა სამინისტროები და უწყებები, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ, ყოველთვის არ იღებენ სათანადო ზომებს ხალხისათვის საჭირო საქონლის წარმოების გასაადიდებლად.

შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, საწარმოო ფონდებისა და სიმძლავრეების გამოყენებაში არსებულმა ნაკლოვანებებმა, ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისების, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის გეგმების შესრულებაში ჩამორჩენამ გაიელენა მოახდინა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების ეფექტიანობის ზოგიერთი სხვა მაჩვენებლის მიხედვით 1980 წლის დავალებათა შესრულებაზე, რაც საბოლოო ანგარიშით ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპსაც დაეტყო.

1980 წელს სერიოზული მუშაობა მოგველის ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამინისტროებმა, უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უკეთ უხელმძღვანელონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა საქმიანობას.

ამისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ამას წინათ მიღებულ იმ გადაწყვეტილებათა შესრულებას, რომელთა მიზანი დაგეგმვის სისტემისა და მთელი სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფაა. ამ ფუძემდებელი დოკუმენტების შესაბამისად სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა დიდი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით გათვალისწინებული მთელი რიგი ღონისძიებანი უკვე 1980 წელს უნდა განხორციელდეს და ეს გათვალისწინებულია თქვენთვის წარმოდგენილ გეგმის პროექტში.

1980 წლის გეგმის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი სახალხო მეურნეობის განვითარების ძირეულ საკითხებზე. საჭიროდ არის მიჩნეული უზრუნველვყოთ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სტაბილური ზრდა, სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ მეურნეობის ისეთი საკვანძო რგოლები, როგორიც ტრანსპორტი, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ქიმია. ამასთან უცვლელი რჩება პარტიის ის კურსი, რომ კიდევ უფრო განვავითაროთ სოფლის მეურნეობა და გავაფართოოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

1980 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანები, ტემპი და პროპორციები

1980 წლის, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის შემუშავებისას გავითვალისწინეთ, რომ საჭიროა ხელშემწყობი პირობები შეიქმნას მეთერთმეტე ხუთწლედში მუშაობის წარმატებით დაწყებისათვის. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ისეთ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომლებიც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას უზრუნველყოფს. განზრახულია დავაჩქაროთ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების ტექნიკური განახლება და განვამტკიცოთ მათი მატერიალური ბაზა, გავაუმჯობესოთ პროპორციულობა ეკონომიკის განვითარებაში.

1980 წელს მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 4 პროცენტით, ანუ 17 მილიარდი მანეთით. სამრეწველო წარმოების მოცულობა 4,5 პროცენტით გადიდდება. ამასთან მრეწველობის როგორც „ა“ ჯგუფის, ისე „ბ“ ჯგუფის მიხედვით პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი ერთნაირი იქნება, ესე იგი 4,5 პროცენტი. წარმოების მატების ასეთი ტემპი შესაძლებლობს გვაძლევს უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის გადახდის — უნარიანი მოთხოვნა სახალხო მოხმარების საქონლზე და სახალხო მეურნეობის საჭიროებანი — მატერიალურ რესურსებზე, გავაუმჯობესოთ სამრეწველო წარმოების სტრუქტურა.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მატება გათვალისწინებულია 8,8 პროცენტის ოდენობით.

სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე გაისად შეადგენს 135,3 მილიარდ მანეთს, ხოლო სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი — 119,1 მილიარდ მანეთს. ეს ხუთწლიანი გეგმის 1980 წლის დავალებებზე მეტია.

აღნიშნული გაანგარიშებანი ემყარება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების და უწინარეს ყოვლისა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გადიდდება 3,8 პროცენტით, მშენებლობაში — 3,5 პროცენტით და რკინიგზის ტრანსპორტზე — 2,9 პროცენტით. ეს 1979 წელს მიღწეულ მაჩვენებლებზე მაღალია.

1980 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სრულად და ეფექტიანად იქნება გამოყენებული ჩვენს ქვეყანაში შექმნილი უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი, მთელი ჩვენი ეროვნული სიმდიდრე. ამის საფუძველზე 1980 წლის გეგმა ითვალისწინებს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია სიმძლავრეთა უკეთ გამოყენება, მატერიალური რესურსების უფრო მომჭირნეობა ხარჯვა. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, შავი და ფერადი ლითონების, ქიმიური მრეწველობის ძირითადი პროდუქციის, ხე-ტყისა და სხვა ხარჯებს.

მატერიალური რესურსების მომჭირნეობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით უნდა შეცირდეს პროდუქციის თვითღირებულება, რაც წარმოების რენტაბელობის ზრდის საფუძველი იქნება. მოგება მრეწველობაში დასახულია გაიზარდოს 9,1 პროცენტით, მთლიანად სახალხო მეურნეობაში კი 10,1 პროცენტით.

მრეწველობა

სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანებისა და არსებული რესურსების საფუძველზე 1980 წლის გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო წარმოების მოცულობას 633,6 მილიარდი მანეთის ოდენობით. ეს 2,7-ჯერ აღემატება 1965 წლის მრეწველობის პროდუქციის მოცულობას.

გეგმაში განსაკუთრებული - ყურადღება დაეთმო ელექტროენერგიის წარმოებისა და სათბობის მოპოვების ზრდას. ელექტროენერგიის გამომუშავება 1980 წელს 1979 წელთან შედარებით 4 პროცენტით უნდა გადიდდეს და 1295 მილიარდ კილოვატ საათს მიაღწიოს, ამასთან ელექტროენერგიის გამომუშავება ატომურ ელექტროსადგურებში დიდდება 33 პროცენტით.

ნავთობისა და გაზის კონდენსატის მოპოვება დასახულია 606 მილიონი ტონის მოცულობით, ანუ 3,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1979 წელს, ბუნებრივი გაზის მოპოვება — 435 მილიარდი კუბური მეტრის მოცულობით. ამასთან წლიური მატება 7 პროცენტს გადააჭარბებს, ქვანახშირის მოპოვების წლიური მოცულობა მიაღწევს 745 მილიონ ტონას, ანუ 2,2 პროცენტით გაიზრდება.

იმისათვის, რომ შეუფერხებლად მოვამარაგოთ სათბობით სახალხო მეურნეობა და მოსახლეობა, არა მარტო წარმატებით უნდა შევასრულოთ მისი მოპოვების დასახული გეგმები, არამედ მკაცრადაც დავიცვათ სახელმწიფო საგეგმო დისციპლინა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენებაში.

სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა ბევრად არის დამოკიდებული აგრეთვე კონსტრუქციული მასალების, განსაკუთრებით შავი და ფერადი ლითონების წარმოების გადიდებასა და სტრუქტურის სრულყოფაზე, ლითონ-პროდუქციის გამოშვების გადიდება, მისი სორტამენტის გაფართოება და გაუმჯობესება, მეტალურგიულ წარმოებაში პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა 1980 წლის გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ამოცანაა.

თუჯის გამოდნობა უნდა გაიზარდოს 115 მილიონი ტონით, ფოლადისა — თითქმის 157 მილიონი ტონით, მზა ნაგლინის წარმოება 109 მილიონ ტონას გადააჭარბებს, ფოლადის მილებისა — 18,5 მილიონ ტონას. ასეთი მოცულობის წარმოებას შეგვიძლია არა მარტო მივაღწიოთ, არამედ კიდეკაც გადავაჭარბოთ.

ამასთან სამინისტროებმა და უწყებებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა შეასრულონ შავი და ფერადი ლითონების მომჭირნეობის მათთვის დამტკიცებული დავალებანი, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მათი გამოყენება გეგმით გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის.

მრეწველობის ქიმიურ და ნავთობქიმიურ დარგებში 1980 წლის გეგმით გათვალისწინებულია პროდუქციის საერთო მოცულობა გაიზარდოს 9 პროცენტით. ამასთან მინერალური სასუქების წარმოება გადიდდება 16,9 მილიონი ტონით, ანუ 17,2 პროცენტით, გაიზრდება სინთეზური ფისებისა და პლასტმასების, ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფების და სხვა ქიმიური პროდუქციის წარმოება.

გაიზრდება სამასალე მერქნის, მერქნის ბოჭკოს და მერქნის ბურბუშელის ფილების წარმოება. დასახულია გაიზრდოს ცელულოზის წარმოება 16,6 პროცენტით, ქაღალდისა —7,1 პროცენტით და მუყაოსი — 12,1 პროცენტით.

ისევე როგორც წინა წლებში, გეგმის მომზადების დროს დიდი ყურადღება დაეთმო მანქანათმშენებლობის — ჩვენი ინდუსტრიის ბირთვის განვითარებას. მთლიანად მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება 1979 წლის მოსალოდნელ დონესთან შედარებით 6,5 პროცენტით გაიზრდება.

დასახულია მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვების სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებანი ახალი, უფრო მწარმოებლური და ეკონომიურ სახეობათა ტექნიკის წილის გადიდებისა და წარმოებიდან 1500-ზე მეტი მოძველებულ სახეობათა პროდუქციის მოხსნის გზით. გათვალისწინებულია სათბობ-ენერგეტიკული დარგებისა და სოფლის მეურნეობის, მძიმე და შრომატევადი ოპერაციების, დატვირთვა-განტვირთვის და სატრანსპორტო სამუშაოების მექანიზაციისათვის, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის საჭირო მანქანებისა და მოწყობილობათა გამოშვების უპირატესი ზრდა.

გადიდდება კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგებისათვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოშვება.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

1980 წლისათვის დასახულ საგეგმო დავალებათა შესრულება-ში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობა. დასახული წარმოების მოცულობისა და სწარმოო ძალების განლაგებიდან გამომდინარე, ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა დაგეგმილია წლის მანძილზე გაიზარდოს 5,3 პროცენტით, აქედან რკინიგზის ტრანსპორტისა — 4,1 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებას დიდი კაპიტალური დაბანდებანი მოხმარდება. პარტია და მთავრობა დიდად ზრუნავენ რკინიგზელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამავე დროს რკინიგზების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქნება რკინიგზის ტრანსპორტის ყველა გადასაზიდ-გადასაყვანი საშუალების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

გეგმით გათვალისწინებულია საზღვაო, სამდინარო და საავიაციო ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება. გაიზრდება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე გაზის გადასაგზომი მაგისტრალური მილსადენი ტრანსპორტის მუშაობის მოცულობა.

გაისად კიდევ უფრო განვითარდება ქვეყნის კავშირგაბმულობის სისტემა, გაუმჯობესდება სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მომსახურება ყოველგვარი კავშირგაბმულობით.

კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების მოცულობა 1980 წელს 119,1 მილიარდ მანეთს მიაღწევს, რაც 6,6 მილიარდი მანეთით მეტია ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის. ხუთწლიანი გეგმით დასახულთან შედარებით.

გეგმით გათვალისწინებულია კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდოს კაპიტალური დაბანდებანი რკინიგზის ტრანსპორტსა და ისეთ დარგებში, როგორიც არის ელექტროენერგეტიკა, საბრძოლო, ქიმიური მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, ელექტრონტექნიკური მრეწველობა. მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთმშენებლობა და მთელი რიგი სხვა დარგები. მნიშვნელოვნად გადიდდა კაპიტალური დაბანდება სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ მრეწველობის ძირითად დარგებში.

ისევე როგორც წინა წლებში, კაპიტალური დაბანდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ტრანსპორტი. ამ დარგში მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ სკკპ XXV ყრილობის პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება 1980 წლის გეგმის უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია განსაზღვრულია 136 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც 11 მილიარდი მანეთით აღემატება 1979 წლის დონეს.

მემცენარეობის მეტ წილ სახეობათა პროდუქციის შესაყიდვის მოცულობანი ძირითადად შეესაბამება ხუთწლიანი გეგმის 1980 წლის დავალებებს. ამ დავალებებზე ნაკლებია დასახული პირუტყვისა და ფრინველის, რძის, მატყლის, ყურძნის შესაყიდვა. მეცხოველეობის პროდუქციის მოცულობის შემცირება იმან გამოიწვია, რომ დაგვაკლდა მარცვლეული და საკვები, ყურძნისა კი იმან, რომ 1976-1977 წლების ზამთრის პერიოდში დაზიანდა ნარგავები.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მომავალი წლის სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით გათვალისწინებულია კაპიტალდაბანდებანი 37 მილიარდი მანეთის ოდენობით. მთლიანად მეათე ხუთწლედში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე სოფლის მეურნეობას მოხმარდება 173 მილიარდ მანეთზე მეტი, ანუ ხუთწლიანი გეგმით დასახულზე 3,1 მილიარდი მანეთით მეტი

1980 წელს სოფლის მეურნეობა მიიღებს 344 ათას ტრაქტორს, 270 ათას სატვირთო ავტომანქანას, 293 ათას ტრაქტორის მისაბმელსა და ბევრ სხვა ტექნიკას. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ 88 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს.

როგორც ცნობილია, მყარი მოსავლის მიღწევის მნიშვნელოვანი ფაქტორია მიწების მელიორაცია და მათი კომპლექსური ათვისება. ამ მიზნებისათვის გამოიყოფა სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი 7,9 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 10 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

გეგმით დასახულია რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმიწანიადაგიანი ზონის ნოყიერ ზონის სოფლის მეურნეობის განვითარების უპირატესი ტემპი და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სოფლის მშრომელთა ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

გამოვყოფთ რა დიდ რესურსებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური აღჭურვისათვის, დღენადაგ უნდა ვზრუნავდეთ მათი უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის. ამასთან ბევრ მეურნეობაში ჯერაც სერიოზული ნაკლოვანებებია სახნავების, მათ შორის მელიორირებული მიწების გამოყენების ტექნიკის დაცვა-შენახვისა და შეკეთების, მინერალური სასუქების, საწვავ-საპოხი და სხვა მასალების ხარჯვის საქმეში.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება

სახალხო მეურნეობის განვითარება სულ უფრო მეტად ემყარება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გამოყენებას იმისათვის, რომ გაძლიერდეს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი და ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი და გამოშვებულ იქნეს ახალ სახეობათა პროდუქცია, კიდევ უფრო დაიხვეწოს ტექნიკა და წარმოების ტექნოლოგია, შემსუბუქდეს შრომის პირობები.

1980 წელს გათვალისწინებულია დაიწყოს 4 ათასი ახალი სახეობის მანქანა-მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების წარმოება, გეგმაში შეტანილია უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ათვისების დაახლოებით 1000 დავალება და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების და წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებათა ათვისების 350 დავალება.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას გაისად მოხმარდება 21 მილიარდ მანეთზე მეტი, რაც 5,5 პროცენტით სჭარბობს წლევანდელ მაჩვენებელს.

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების 1980 წლის გეგმის ამოცანები განსაზღვრულია იმ გრძელვადიანი სოციალური პროგრამის შესაბამისად, რომელიც ჩვენმა პარტიამ შეიმუშავა. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1980 წელს გაიზრდება 2,9 პროცენტით, ხოლო ხუთწლედში მთლიანად იგი 16,6 პროცენტით გადიდდება.

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებისათვის საერთო ხარჯები ხუთწლედის დამდეგიდან 1980 წელზე გაანგარიშებით 15,4 მილიარდ მანეთს შეადგენს. 1980 წელს განხორციელდება ღონისძიებანი, რათა გაიზარდოს რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურება, მიეცეთ წელთა ნამსახურობის სართი რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს, გაძლიერდეს სახალხო მეურნეობაში პენსიონერთა მუშაობის მატერიალური სტიმულირება, გაუმჯობესდეს კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფა, გაიზარდოს ბავშვობიდან ინვალიდთა დახმარება და სხვა ღონისძიებანი. ამავე დროს გაღებული იქნება აგრეთვე ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე წელს არასაწარმოო დარგებში განაკვეთებისა და სარგოების მოწესრიგების დამთავრებასთან, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში რკინიგზებს ტრანსპორტზე ხელფასის სართისა და სხვა შეღავათების დაწესებასთან.

გაგრძელდება წინათ გამოშვებული სახელმწიფო შინაგანი სესხის ობლიგაციების დაფარვა.

გათვალისწინებულია კიდევ უფრო გაიზარდოს მოსახლეობის ფულადი შემოსავალი. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გადიდდება 167,3 მანეთამდე, ანუ 2 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 118 მანეთამდე, ანუ 5,4 პროცენტით.

მოსახლეობის შემოსავლისა და სახალხო მოხმარების საქონლის რესურსების დასახული ზრდის საფუძველზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა გათვალისწინებულია 264,2 მილიარდი მანეთის მოცულობით, ანუ წლევანდელზე 5,1 პროცენტით მეტი.

გაისად აშენდება 109,4 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. საბინაო პირობებს გაიუმჯობესებს 10 მილიონზე მეტი კაცი, ხოლო მთლიანად ხუთწლეულში — 50 მილიონზე მეტი.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები 1980 წელს გაიზრდება 5,5 პროცენტით და შეადგენს 116 მილიარდ მანეთს.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადება დასახულია დაახლოებით ხუთწლედის დავალებათა დონეზე. მნიშვნელოვნად გაფართოვდება კვალიფიციური მუშაკთა კადრების მომზადება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

საავადმყოფო დაწესებულებათა საწოლების საერთო რაოდენობა გაიზრდება და 1980 წლის დამლევისათვის შეადგენს 3,3 მილიონს.

ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება

სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებათა განსახორციელებლად შემუშავებული გეგმა ითვალისწინებს გარემოს ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა კომპლექსს.

წყლის რესურსების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებამ უკვე სასიკეთო გავლენა მოახდინა ქვეყნის ევროპული ნაწილის სამხრეთისა და დასავლეთის მეტი წილი რაიონების მდინარეების მდგომარეობაზე. დაიწმინდა ბალტიის, შავი, აზოვისა და კასპის ზღვების აუზების მდინარეები.

გათვალისწინებულია ამოქმედდეს ნარჩენი გაზებიდან მავნე ნივთიერებათა გამოსაყოფ-უვნებელსაყოფი დანადგარები, რომელთა საერთ

სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება

განვლილი ოთხი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა თანამიმდევრულად ვითარდებოდა სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ განსაზღვრული კურსის შესაბამისად. მიღწეულია ახალი მაღალი ეკონომიკური ნაგებობები კომუნისტურ მშენებლობაში, გაიზარდა სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძალიერება. განუხრელად ხორციელდება პარტიის სოციალური პროგრამა. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დროშით კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, ეროვნულ-სამართლებრივ ნიადაგზე ჩამოყალიბებულ ინტერნაციონალურ ერთობისა და ინტელიგენციის ერთიანობა შეკავშირება კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის, ლენინის საქმის ერთგული განმგებლობის, თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის პროგრესისათვის მგზნებარე მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო.

მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის დიდი აღმავლობით, მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებით აღინიშნა მიმდინარე წელი. მრეწველობის პროდუქციის წარმოება გადიდდება 21 მილიარდი მანეთით. უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა ზრდა და მისი ინტენსიფიკაცია, შრომის ნაყოფიერების გადიდება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მიმდინარე წელს სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, დიდი და მიზანდასახული მუშაობა წარმოებდა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ზოგიერთ რაიონში ამინდის მძიმე პირობების გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით განხორციელდა დატბებითი ღონისძიებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური და ფინანსური დახმარებისათვის. სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებულმა, დაძაბულმა შრომამ და ადგილობრივ მეურნეობის სხვა დარგების შრომელთა დიდმა დახმარებამ შესაძლებლობა მოგვცა ეფექტურად შეგვმესუბუქებინა არახელსაყრელი ამინდის ფაქტორის შედეგები, ორგანიზებულად ადგილი მოუფიანი მოსავალი, ამით მკაფიოდ გამოვლინდა პარტიის აგრარული პოლიტიკის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა, ეროვნული ეკონომიკა ... ...

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვარ

ხსოვნა გულისა...

ახალგაზრდათა, პიონერთა და მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდის დიდმნიშვნელოვანი კულტურული ერა უნდა გახდეს.

სულით და გულით ვუსურვებ თქვენს მუზეუმს ბრწყინვალე და ნაყოფიერ მუშაობას, ხოლო მის დამთვალიერებლებს, ისევე როგორც თქვენი ქალაქის მშრომელებს, — ჯანმრთელობას და ბედნიერებას, ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

ძმური სალმით
ჯ. ვოროშილოვი".

• • •

„დიდი ინტერესით გავეცანით საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის მუზეუმს, რომელიც ეხოდენი ნიჭიერულით შეუქმნია თავის ბინაში ამხანაგ ყანდარელს.

ინფ. ალოის გუსტინიკი,
ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის მოადგილე.
ინფ. კარელ კუნა,
ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის მოადგილე.
ინფ. იან რიხტარი,
ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მიწისქვეშა მშენებლობის გენერალური დირექტორი.
ინფ. ვილემ ვაშეიკი".

ომი, ომი... რამდენი სიცოცხლე შეიწირა მან, რამდენი მწუხარება მოგვაყენა, რამდენის ბედის ჩაბნი დაატრიალა უკუღმა, რამდენის ცხოვრების გეგმა შეიცვალა.

ომი ის-ის იყო დაიწყო, როცა ირაკლიმ თავის ტოლებთან ერთად დაამთავრა ათწლედი. ყმაწვილები მოითხოვდნენ, იარაღი მოგვეცით და გაგვაგზავნეთ — დაუყოვნებლივ გაგვაგზავნეთო ფრონტზე! ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ჭქონდათ ამის უფლება: ვაჟკაცებმა, რომლებიც მხოლოდ 17 წლისანი იყვნენ, უნდა დაიცვან თავიანთი დედები და დები, თავიანთი მამები და ქალაქები, თავიანთი სამშობლო.

საბრძოლო ნათლობა ირაკლიმ კავკასიონზე, სანჭაროს უღელტეხილის რაიონში რჩეულ ჰიტლერელთა ნაწილებთან გაიფთრებულ ბრძოლებში მიიღო. მრავალი წლის შემდეგ აქ ისევ მოვა ყანდარელი ბამბეულის კომბინატის კომკავშირელებთან ერთად. აქ, მაღლა მთებში, სადაც სასწაულებლის კურსანტებმა მკერდით გადაეღობნენ ბეს ფაშისტურ დივიზიას „ედელვაისს", დაიგამენ ისინი მემორიალურ ბაღას, რომელზეც წარწერილი იქნება სანჭაროს უღელტეხილის დამცველებისადმი დიდი მადლიერების სიტყვები.

კავკასია და უკრაინა, კარპატები და ჩეხოსლოვაკია.... საფრონტო გზები — რამდენი უკვალია ამ გზებით ირაკლი ყანდარელს! დრო მაშინ იზომებოდა იმ ვაგლილი კილომეტრებით, საათებით, როცა ავაკებდნენ მტრის გაფთრებულ კონტრშეტევებს, ჰიტლერელებისგან გამოგლეჯილი სოფლების რაოდენობით, სიცოცხლის წუთებით ან მებრძოლი მეგობრების საფლავებზე სამგლოვიარო ზალვების რიცხვით...

დამთავრდა ომი. მაგრამ არ დამთავრებულა დაზვერვის ოფიცერის მეთაურის ყანდარელის მხედრული სამსახური — იგი კადრის ოფიცერი გახდა. და გამარჯვების შემდეგ კიდევ ოც წლისწადს იდგა იგი საბრძოლო მწყობრში.

გულის ხსოვნა კვლავ და კვლავ აბრუნებდა მას იმ ადგილებში, სადაც ომობდა, უცოცხლებდა თანამებრძოლების სახეებს, რომლებიც ვერ მოესწრნენ გამარჯვების სალუტის ზალვებს. გადარჩენილ ვეტერანებს კი მიმოწერა ჰქონდათ, ერთმანეთს უამბობდნენ თავიანთ საქმეებზე, იგონებდნენ ბრძოლის ეპიზოდებს, არ კვეთდნენ იმათ ბედს, ვინც დაიკარგა ომის გზებზე. თანდათანობით ყანდარელის ბინაში გროვდებოდა ეს წერილები, დოკუმენტები, ფოტოსურათები — უწმინდესი რელიკვიები, რომლებიც დიდი სამამულო ომის დღეებს მოაგონებდა.

ირაკლი ყანდარელი იგონებდა იმათაც, ვისაც დაუმეგობრდა ჩეხოსლოვაკიაში, — სახალხო არმიის მეომრებს, პარტიზანებს, პრაღელებს, იგი გაზეთებში ეძებდა ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ შენდება ცხოვრება ახალ, სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში. დაწერა მოგონებანი ოსტრავის, ოპავის, ოლომოუცის ბრძოლების შესახებ. 1961 წელს კი ბრნოში გამოიცა წიგნი, რომელიც შეიცავდა საბჭოთა მეომრების მოგონებებს ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლების შესახებ. მათ შორის იყო ყანდარელის მოგონებაც ოსტრავის ბრძოლებზე.

ირაკლის მოსდიოდა წერილები ოსტრავიდან, ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქებიდან. წერილი გამოუგზავნა მეშახტე ზდენეკ პავლიკაც (მასზე „კომსომოლსკაია პრავდა" წერდა 1978 წლის 28 მაისსა და 29 ოქტომბერს). ყანდარელმა ზდენეკს სთხოვა დახმარებოდა იმის დადგენაში, თუ სად არის დასაფლავებული ზოგიერთი მისი თანამებრძოლი. სწორედ მაშინ გაიბა მათი მეგობრული მიმოწერა...

გახშირდა ჩეხოსლოვაკიელთა სტუმრობა გორში. და სულ უფრო მატულობდა ფოტოსურათები, ჟურნალები, წიგნები, ვიმპელები, სამახსოვრო სუვენირები მერე სტენდზე, პირველის საფრონტო სტენდის მეზობლად.

ასე შეიქმნა ყანდარელის ბინაში საბრძოლო დიდებისა და საბჭოთა

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ორგანო გაზეთი „ობრანა ლიდუ" წერილში „ჩვენი კონსული საქართველოში" წერდა:

„მას ირაკლი ლევანის ძე ყანდარელი ჰქვია, იგი თადარიგის პოდპოლკოვნიკია, და მას საქართველოში ჩეხოსლოვაკიის კონსული რომ ვუწოდოთ, დიდად არ შევცოდავდი ჭეშმარიტებას... მისი პირადი მუზეუმი ღიაა ყველასათვის. ათასობით ადამიანი, არა მარტო საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი, არამედ უცხოელებიც, რომლებიც გორში ჩადიან, მის მუზეუმს ნახულობენ".

ერთი შეხედვით, ზერელე გაცნობისას, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ყველაფერი კარგად არის: მუზეუმი მუშაობს. დამთვალიერებელი ბევრია, არც მუზეუმის შემქმნელს აკლია ჯილდოები და პატივი. არ არის პრობლემები.

მაგრამ პრობლემები არის.

შარშან, არმიაში სამსახურის შემდეგ შინ დაბრუნდა ირაკლის შვილი. უკვე ვაჟკაცი, დამოუკიდებელი კაცია. ყანდარელის ბინა კი 2 ოთახისა და სამზარეულოსგან შედგება. ერთ-ერთ ოთახში მუზეუმია. ყანდარელი მამაც არის და დირექტორიც. რა ქნას!

ასე გადავიდა მუზეუმი ყანდარელის — სასტუმრო „ინტურისტის" კადრების განყოფილების უფროსის კაბინეტში. კარგია ეს თუ არა? არა გვგონია. ჯერ ერთი, სამუშაო კაბინეტი, მეტი რომ არა ვთქვათ, შეუფერებელია. მეორე, სამუშაო დროს ართმევს: კვლავინდებურად უკლებლივ ყველა ჩეხოსლოვაკიელი ტურისტი, რომლებიც გორში ჩამოდიან, ითხოვენ, ითხოვენ კი არა, მოითხოვენ, რომ მირეკე სვობოდას სახელობის მუზეუმი უჩვენონ. მესამე: ყანდარელის თქმით, ეს პატარა ოთახი მთელი ექსპონატების, დიდი-დიდი, მეზუთეულს იტევს. და, თუმცა ირაკლი შინ რომ მრუნდება, შუაღამეს გადაცილებულია, გაცილებით ნაკლებს გაკეთებს ახერხებს, ვიდრე უნდა და შეუძლია.

თუმცა ცოტას არ აკეთებს, არა მარტო მუზეუმში, არამედ მის გარეთაც. საქართველოს ალკა გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნინო ზაუტაშვილი კმაყოფილია მასთან თანამშრომლობით:

— ირაკლი ყანდარელი კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან არსებული ინტერნაციონალური აღზრდის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეა და მისი დახმარება ამ დარგში პირდაპირ ფასდაუდებელია. ნეტა მეტი გვყავდეს ასეთი საზოგადოებრივი მუშაკები! დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რასაც ყანდარელი აკეთებს ჩვენი კომკავშირელებისა და ახალგაზრდების აღსაზრდელად.

...შედიხარ ამ პატარა ოთახში, და თვალი გიჭერდეს ფოტოსურათებისა და სუვენირების, სამახსოვრო მედლებისა და ლამაზ-ყდიანი წიგნების, ვიმპელებისა და წერილების შეახედვარეს. ყველაფერი ეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ამსახველი ძვირფასი რელიკვიები და დოკუმენტებია. პირველი მუშა პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის პორტრეტით იხსნება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის განყოფილება. ცალკე სტენდი აშუქებს სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის ისტორიასა და საქმიანობას. აი ჯარისკაცებისა და ოფიცრების განმასხვავებელი ნიშნების სრული კომპლექტი, ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა გვარეობის ჯარების ემბლემები და სამხრეები, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ათობით ქალაქიდან გამოგზავნილი წერილები, რესპუბლიკის გზამკვლევები.

მინის ქვეშ აწყვია ჩეხურ ენაზე გამოცემული ვ. ი. ლენინის წიგნები — 1919 წელს გამოცემული ბროშურა „საბჭოების საქმიანობა", 1920 წელს პრაღაში გამოცემული „სახელმწიფო და რევოლუცია", აწყვია წიგნები სამახსოვრო წარწერებით: არმიის გენერლის ლუდვიკ სვობოდას „ბუზუულეკიდან პრაღამდე", ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვასილ ბილიაკის „ჩვენი მეგობრობა ულღვევია" და მრავალი სხვა.

„ამხანაგ ყანდარელს მუზეუმს რომ გავეცანი, უფრო მეტად ვიწამე... რომ კლემენტ გოტვალდის ლოზუნგი — „მარად საბჭოთა კავშირთან ერთად!" — მუდმივ დევიზად დარჩება.

მადლობას მოვახსენებ მუზეუმის ორგანიზატორს იმ ენთუზიაზმისათვის, რომლითაც ასრულებს პროპაგანდისტის მოვალეობას. ვუსურვებ ბევრ ახალ დამთვალიერებელს და ახალ შეხვედრებს ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებთან, რომელთა რიცხვს ჩემს თავსაც მივაკუთვნებ.

მარტა გოტვალდოვა-ჩეკანჩკოვა,
ჟურნალ „სოციალისტიჩესკაია ჩეხოსლოვაკიას" მთავარი რედაქტორი".

დიდ და საჭირო საქმეს აკეთებს ი. ლ. ყანდარელი. მისმა მუზეუმმა, რომელიც გულს ხსოვნამ შვა, მუზეუმმა, რომელსაც სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ათასობით მოქალაქე იცნობს, რომელსაც ათვალიერებენ ათობით სხვა ქვეყნის ტურისტები, ვფიქრობ, დაიმსახურა ცალკე შენობის მიღების უფლება. დამთვალიერებლებმა უნდა ნახონ მთელი. მდიდარი ექსპოზიცია, რომელიც ორი მოძმე ხალხის მრავალწლიან და ურღვევ მეგობრობას ეძღვნება, რომელსაც წლების მანძილზე აგროვებდა, შეინახა და მოუარა კომუნისტმა ირაკლი ყანდარელმა.

ვ. მიხაილოვი,
(ჩვენი ხპეც. კორ.).
გორი-მოსკოვი.

„კომსომოლსკაია პრავდა", 1979 წ. 28, XI.

ინფორმაცია—79

ჩვენს არემარეში

თანამშრომლობა ფართოვდება

უჩვენებენ ბულგარელი მანქანათმშენებლები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში გაიხსნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის საწარმოს „ტექნოექსპორტის" გამოფენა, რომელიც მოეწყო საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საკავშირო გაერთიანება „ექსპოცენტრისა" და საქართველოს სს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომლობით. გამოფენის გახსნის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე სტუმრებს მიესალმა საქართველოს სს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ოყროშიძე. მან თქვა, რომ გამოფენა მეგობარ ბულგარეთთან მრავალმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაფართოების კიდევ ერთ საფუძვლად იქცევა. სტუმრების სახელით სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირში გ. ჯაბროვმა, რომელმაც ილაპარაკა სახალხო ხელისუფლების წლებში ბულგარეთის მრეწველობის მიღწევებზე; აღნიშნა, რომ ბულგარეთის სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის თითქმის ნახევარი საბჭოთა კავშირში ვრცელდება.

გამოფენაში მონაწილეობს ბულგარეთის ორი საწარმო — „ტექნოექსპორტი" და „ტორგინჟენერინგი". „ტექნოექსპორტი" კვიბის მრეწველობისათვის საჭირო კომპლექსური მოწყობილობების ცნობილი ექსპორტიორია. მის მიერ შემოთავაზებული კომპლექსური საწარმოები და ტექნოლოგიური ხაზები მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობას უზრუნველყოფს. „ტორგინჟენერინგი" ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მომსახურებისათვის კომპლექსური ობიექტებისა და მოწყობილობების ექსპორტიორი სამეურნეო ორგანიზაციაა. იგი ახორციელებს კვიბის მრეწველობის, სამაცივრო და ჰაერის კონდიცირების ტექნიკის, მსუბუქი და სამშენებლო მრეწველობის სფეროში კომპლექსური ობიექტებისა და ცალკეული მანქანების დაპროექტებას, მიწოდებას, მონტაჟსა და ტექნიკურ მომსახურებას. „ტორგინჟენერინგი" დაინტერესებულ ორგანიზაციებს სთავაზობს ობიექტების სარეკლამო გაფორმებას; სამაცივრო, სამზარეულო, საზოგადოებრივი კვებისათვის, საკონდიტრო და კაფე-ბარებისათვის, ყოველგვარი უნივერსალური მაღაზიებისათვის საჭირო მოწყობილობას.

გამოფენაზე ექსპონირებულია სამაცივრო, კონდიციონის ტექნიკა, კვების მრეწველობის მანქანები, სავაჭრო მოწყობილობები. აქ წარმოდგენილია „ტექნოექსპორტისა" და „ტორგინჟენერინგის" მიერ დამზადებული 50 სახეობის პროდუქცია: ავტომატური კარადული კონდიციონერები ჰაერის გამაციებელი კონდენსატორით, თამბაქოს ცალად შესაკრავი აგრეგატი, ღერძული ტუმბოები, საშუალო ტემპერატურებისათვის ჰერმეტული ფრეონური აგრეგატები და კომპრესორები, ნახევრად ჰერმეტული აგრეგატები, სხვადასხვაგვარი კომპრესორები...

გამოფენა 6 დეკემბრამდე გასტანს. საქართველოს სპეციალისტებისა და მათი ბულგარელი კოლეგებისათვის გამოფენაზე წარმოდგენილი მოწყობილობების შესახებ გაიმართება ერთდღიანი სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს, კვიბის მრეწველობის სამინისტროს, ცენტრალურისა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ზ. ღავთაძე.

სურათზე: ბულგარეთის სავაჭრო მოწყობილობის გამოფენის პავილიონში.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ

სამეცნიერო თათბირი თბილისში

თბილისში რამდენიმე დღეს მუშაობდა მოსახლეობის გეოგრაფიისადმი მიძღვნილი IV საკავშირო საუწყებათშორისო სამეცნიერო თათბირი. იგი მოაწყვეს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს გეოგრაფთა საზოგადოებებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტმა, თბილისის უნივერსიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა.

თათბირის ძირითადი თემა იყო „მოსახლეობის გეოგრაფიის პრობლემები კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური დაგეგმარების სისტემებში".

განხილულ საკითხს როგორც თეორიული, ისე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები დემოგრაფიული პროცესების რეგულირებისა და განსახლების საკითხებზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ძირითადი სამეცნიერო ცენტრების 250-ზე მეტი მეცნიერი და საზღვარგარეთელი სტუმრები.

ჯ. ჯიშკარიანი.

ᲝᲠᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲗ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

თბილისში სამ დღეს იყო ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი. მათ რუსთაველის თეატრის სცენაზე წარმოადგინეს შექსპირის „კორიოლანუსი" და გ. ბათიაშვილის „ვალი".

დედაქალაქელებმა დიდი ინტერესით მიიღეს სპექტაკლები. აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა ქუთაისელი სცენის ოსტატების ნამუშევრთა განხილვა. თეატრმცოდნეებმა ნ. შალოტაშვილმა, ნ. არგილაძემ, ი. ციციშვილმა, ხელოვნებათმცოდნეებმა ნ. ასათიანმა და დ. მიქელაძემ, რეჟისორმა თ. ჩხეიძემ და დრამატურგმა გ. ხუხაშვილმა ილაპარაკეს სპექტაკლების. ავ-კარგზე, რეჟისორულ, მსახიობურ ოსტატობასა თუ ზოგიერთ ნაკლზე, სცენოგრაფიაზე. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ თბილისში შარშანდელი გასტროლების შემდეგ კიდევ უფრო ეტყობა ზრდა და წინსვლა ამ ნიჭიერ კოლექტივს.

ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გ. ქავთარაძემ მადლობა გადაიხადა საინტერესო შენიშვნებისათვის, გულთბილი მიღებისათვის.. („კომ." კორ.).

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲣᲚᲛᲝᲫᲚᲙᲠᲗᲐ ᲛᲔᲙᲠᲔᲒᲐ

მუშსოფლკორთა სწავლების საინტერესო ფორმები გამოიყენა თავის დროზე „საბჭოთა აჭარის" რედაქციამ. აქ ავტორთა აქტივს უკითხავდნენ ჟურნალისტიკის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილ რეფერატებს, ეწყობოდა კონსულტაციები, მსმენელები — „შტაგარეში" ავტორები, კედლის გაზეთების რედკოლეგიათა წევრები — ბეჯითად მეცადინეობდნენ. სამწუხაროდ, ეს კარგი ტრადიცია დაივიწყეს.

ყოველივე ამის შესახებ ილაპარაკეს აჭარის მუშსოფლკორთა საოლქო შეკრებაზე, რომელმაც განიხილა აჭარის ჟურნალისტთა კავშირის ბიუროს თავმჯდომარის, გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქტორის შ. ქორიძის მოხსენება — მუშსოფლკორთა ამოკანები „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუშსოფლკორისადმი. (საქინფორმი).

ᲞᲠᲝᲤᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ

ᲐᲜᲙᲝᲠᲐᲯᲘ, 28 ნოემბერი. (საკადესი). კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა კამპუჩია-ტაილანდის საზღვრებზე შექმნილი დაძაბული მდგომარეობის გამო.

განცხადებაში, რომელიც კამპუჩიის დიპეშათა საგენტრომ გავრცელა, ნათქვამია, რომ ტაილანდის მხარე უკანასკნელ ხანს თავისი მოქმედებით უშუალოდ არღვევს კამპუჩიის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მისი გემები და თვითმფრინავები იჭრებიან ქვეყნის ტერიტორიულ წყლებსა და საჰაერო სივრცეში, ტაილანდის არტილერია ცეცხლს უშენს კამპუჩიის ტერიტორიას, შექმნილია ქვეგანაყოფები, რომლებიც ტაილანდის სამხედრო პირებისა და პოლპოტელებისაგან შედგება და ამჟამად ტაილანდის არანიპრატეტის პროვინციისა და კამპუჩიის ბატამბანგის პროვინციის საზღვარზე მოქმედებენ...

ტაილანდის მხარის მტკიცებანი, თითქოს ირსებობდეს „სიმარი კონფლიქტის გაფართოების საშიშროება", აღნიშნულია განცხადებაში, სხვა არა არის რა, თუ არა ცილისმწამებლური ხრიკი, რომლის მიზანია შენიღბოს პროვოკაციების გაქანებული და კამპუჩიის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 28 ნოემბერი. (საკადესი). აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე ადოლფო სუარესი. მომავალი მოლაპარაკების ცენტრში იქნება პრობლემები, რომლებიც „საერთო ბაზარში" ესპანეთის შესვლას უკავშირდება. როგორც ცნობილია, ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ესპანეთის შესვლის პერსპექტივა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საფრანგეთის მშრომელებში, უწინარეს ყოვლისა გლეხებსა და მებადურებში.

მოლაპარაკების დროს განიხილავენ აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიც არის სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლთა მომავალი შეხვედრა, რომელიც 1980 წელს გაიმართება მადრიდში და ჩრდილოეთ აფრიკის მდგომარეობა.

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲗᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ, 28 ნოემბერი. (საკადესი). ნატოს გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ახალი რაკეტულ-ბირთვული იარაღით განლაგების შესახებ ექვსი თვით უნდა გადადოს. ასეთი განცხადება მოიწონეს დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარლამენტის ფრაქციის — ეროვნული პარლამენტის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქციის უკანასკნელ სხდომაზე.

ამ გადაწყვეტილების გადადება, აღნიშნა დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციამ, ნატოს წევრ სახელმწიფოებს საშუალებას მისცემს ევროპაში შეიარაღების საერთო შემცირების პრობლემები განიხილონ საბჭოთა კავშირის მიერ გამოცხადებული ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ცალმხრივი წესით შემცირების კვლევაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ დანიის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის განცხადების კრიტიკა ვერ შეცვლის ამ საკითხში დანიის მთავრობის პოზიციას ნატოს დეკემბრის სესიაზე, რომელიც ბრიუსელში გაიმართება, თქვა დანიის თავდაცვის მინისტრმა პ. სეგერმა დანიის საინფორმაციო საგენტოს რიტსაუს-ბიუროსათვის მიცემულ ინტერვიუში.

თავის მხრივ დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტ. ოლესენმა აღნიშნა, რომ დანია კვლავ უარს ამბობს თავის ტერიტორიაზე განალაგოს ბირთვული იარაღი მშვიდობიან დროს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. როგორც სვაზილენდის დედაქალაქ მბაბანედან გვატყობინებენ, იქ გამოაცხადეს, რომ დანიშნეს ახალი პრემიერმინისტრი. ეს არის ფრედ დლამინი.

ამ პატარა სამხრეთაფრიკული სახელმწიფოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი მაფეეუ დლამინი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გასულ თვეში გარდაიცვალა.

საბჭოთა პრესა
ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲚᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲓᲦᲔᲡ მინსკში იხსნება უმაღლესი ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. მის 18 მონაწილეს შორის არის ქართველი დიდოსტატი თ. გიორგაძე, რომელმაც შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში სპპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში თ. გიორგაძემ განაცხადა: — „შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის შედეგებით ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეთა ნაკრებ გუნდში მოეხვედი, რაც ჩემთვის ცხადია, დიდი პატივია. ახლა, უპირველეს ყოვლისა, შვეიცარიელ კარგ შედეგებს მივაღწიო უმაღლეს ლიგაში და გაისადაც შევინარჩუნო იქ ასპარეზობის საკუფარი (18 მოჭადრაკიდან ამ უფლებას 9 ინარჩუნებს). შემდეგ კი ინგლისში გამგზავრება მომიხდება, პატრინგსის საახალწლო საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. როგორც კი დამთავრდება ეს შეჯიბრება, შვეიცარიაში მივემგზავრები ევროპის გუნდურ პირველობაში სათამაშოდ".

მინსკში ითამაშებენ საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონები მ. ტალი (რიგა) და ვ. ციშკოვსკი (ომსკი). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის ბაქოელ გ. კასპაროვის გამოსვლა, რომელსაც დიდოსტატის ერთი ბალი აქვს. შეჯიბრება 29 დეკემბრამდე გაგრძელდა.

ᲡᲐᲥᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. პრაღაში გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ასპარეზობა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა. ჩვენმა ქალებმა ყვითელ მეტრქვე დაამარცხეს, პირველ ადგილზე გავიდნენ და „რესტორნის თასს" დაეუფლნენ. ეს თასი მან 1977 წელსაც მოიპოვეს. ვაჟთა გუნდმა ფინალური მატჩი წააგო პრაღის „ტექნიკასთან" და მეორე ადგილზე გავიდა.

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲗᲘ. უმაღლესი ლიგის გუნდებმა უკვე განვლეს საკავშირო ჩემპიონატის პირველი ორი წრე. მესამე წრის წინ გათამაშებას ლიდერობს ვსკა — 40 ქულა. მეორე-მესამე ადგილებზე შეადგინეს არიან მოსკოვის „დინამო" (36 ქულა) და „სპარტაკი" (30).

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲒᲜᲐᲒᲐᲜᲘ. ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეის" პრიზზე საკავშირო ტურნირი „გადასასვლელი" დასასრულს მიუახლოვდა. უკვე გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. ამ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს ტაჯიკეთის, ლენინგრადის, მოსკოვისა და ბელორუსიის ნაკრებმა. კოლექტივებმა ნახევარფინალური მატჩები. ტაჯიკები შეხვდებიან ლენინგრადელებს, ხოლო მოსკოველები ბელორუსიელებს. საქართველო ს ნაკრებმა ნახევარფინალის ეტაპზე ვერ გაიარა.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲒᲜᲐᲒᲐᲜᲘ. მოსკოვში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ნოვოე ვრემიას" ბრიზებზე. ტრადიციულად ამბერ გათამაშდება პრიზები — „ბროლის ციბორები". გუშინ დილით შეჯიბრებაში ჩაბნეულ ქალები. 9 ქვეყნის 14 წარმომადგენელს შორის სამი საკავშირო ფიგურის შესრულების შემდეგ დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები — კირა ივანოვა და მარინე ივნატოვა. გუშინ საღამოს მოკლე პროგრამით ასპარეზობდნენ ვაჟები.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ

29, 30 ნოემბერს და 1, 2 დეკემბერს
პრემიერა
„ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ" „ᲛᲔᲢᲔᲮᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ" — ᲐᲜᲚᲐᲛᲑᲚ „75"
ᲛᲣᲖᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲝᲙᲝ-ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება ფილარმონიის საკონცერტო დარბაზისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში.

ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

აი, რა მოჰყვა უსაქმურობას

უსაქმურობამ მიიყვანა მ. ნანეიშვილი და ს. შარაფიანი განსასჯელის სკამზე, აცაჩაღობა და ძარცვა იყო მათი ცხოვრების თანამგზავრი. ბავშვობიდანვე იცნობდენ ისინი ერთმანეთს, მეგობრობდნენ, თავისუფალ დროს ერთად ატარებდნენ.

ერთ დღეს მეგობრები ჩვეულებრივად შეხვდნენ ერთმანეთს, ითათბირეს და შეთანხმდნენ: თავს დასხმოდნენ მ. ნანეიშვილის ნათესავს — ი. კეზეროტს და გაძარცვათ მისი ბინა. მესამე პირი ბ. პაპუნაშვილიც შეიამხანაგეს. გადაწყდა — ერთ დილით უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს სასტუმრო „საქართველოსთან" და იქიდან ფეხით გაპყოლოდნენ ფალიაშვილის ქუჩას...

ნანეიშვილი სადარბაზოში გაჩერდა, შარაფიანი და პაპუნაშვილი კი სართულებს აუყვნენ. მოტაუუებით დიასახლისს მ. კეზეროტს კარი გააღებინეს, ბინაში შეიჭრნენ, მოხუცს პირზე ხელი დაუფარეს და გულზე დანა მიაბჯინეს. ხმაურზე მეორე ოთახიდან დიასახლისის მეუღლე ი. კეზეროტი გამოვიდა, მაგრამ შარაფიანმა იგი წაიკლა და გულზე ფეხი დაადგა. მოხუცები ერთხანს გაოგნებული იყვნენ, ბოლოს დიასახლისმა იმარჯვა, ხელიდან გაუსხლტა მოძალადეს და კიბეზე მორთო. მეზობლებ